

1919



საბავშვო ჟურნალი

საბავშვო
შუბრადანი

• მხირა წაღვანეთების •



მ. ხ.



საქართველოს საბავშვო ჟურნალი
თბილისი *
№ 21

მეგობარი

წელიწადი მე-VIII,

№ 21

ნოემბერი, 1912 წ.





ქუჩა დე ბი.

1. შ. თაყაიშვილი და გ. ბერიძე, თბილისში, 1912 წ. - ნომერი 21, თბილისი.


შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — ქურდები, — სურათი	1
II — ბაქია, — ლექსი შიო მდვიმელისა	3
III — საწყალი ბიჭიკო, — ირ. ევდოშვილისა.	6
IV — აქლემი, — (იგავი) ალ. შირიანაშვილისა	12
V — იხვი, მელია და მამალი — ალ. შანშიაშვილისა	13
VI — ნისლი, — ზღაპარი ევადლის, თარგ. მარ. იაშვილისა.	15
VII — ბავშვი და ძაღლი, — ტოფსტოისა, თარგ. ი. ზედა- ბნელისა	22
VIII — გასართობი: ლოგოგრიფი, გამოცანები და აღსნა.	24





ბ ა ჭ ი ა,



ინა სთქვა—ბედნიერი ვარ,
ვინ შემომნატრის ამასა?
განა მადლი აქვს ჩემ ეოფნას,
ან ჩემ სმასა და ჭამასა?!

რაც დავიბადე, არ ვიცი
ერთი დღე სინარულინა,
ეურ-დაცქვეტილი დავძვრები,
კანკალი მანლავს გულინა;

დედამაც მე მომატეუა
დამტოვა მინდვრად და ტეეთა:
სამი დღე სამ წლად მიქცია,
სამი წელი-კი სამ დღეთა; *)

*) დედა კურდღელმა ჰკითხა ბაჭიებს, შვილებს სააამი დღე გაწო-
ვით ძუძუ. თუ სამი წელიწადიო. სამი დღე სამ წელზე ბევრი ეგონათ,
რაკი სიტყვა „სამი“ გააჭიანურა და ამიტომ მოტყუდნენ ბაჭიებიც.
მხოლოდ სამ დღეს აწოვებს ძუძუს დედა ბაჭიებსა, მერე-კი თავს ანე-
გებს.

ტკბილი რძე, ტკბილის ძუძუთი
 სამ დღეს მანჯოვა მხოლოდა,
 მეგრე გაჭკრა და წავიდა:
 თითქოს არავინ ჭეოლოდა.

ოჭ, დედავ, ნეტა გიცნობდე,
 შეგხედო ზღმაცერადა
 და კკითხო: ჟისთან გამიშვი
 შვილობილად და გერადა?

რომ მიდიოდი, მწირავდი,
 რატომ არ მეუბნებოდი:
 ვინ მუაჟდა მტერი, მოეგარე,
 ვის უნდა შევკედლებოდი?

მოეგარეს ვერსადა ვხედავ,
 მტერი-კი ბევრი მუოლია:
 დამით ბუ, დღისით არწივი,
 მწვევარი, კბილა თოლია.

აი, აგერა, ვერც-კი ვცნობ
 მე ამ კუდ-გაბსეკილებსა,
 იქნებ ესენიც ჩემ სამტროდ
 აკაბუნებენ კბილებსა?

რას გატვრენილხართ, რა გინდათ,
 მითხარით—რამე კწადიათ?
 მე თავად მოსაფლელი ვარ—
 არ გამოვდგები გადიათ.

ისურვებთ, დამეწვიენით,
 კომბოსტო ჩავაკანაწუნოთ,


გულ-ახდილ მასწინებლობისთვის
 თქვენც-კი არ ამითვალწუნოთ!

წელან ეშმაკმა ჯაფარამ
 ამიგდო, გამამასხარა;
 ჯერ ძელასავით დამჩხავლა,
 ძერე-კი გადისარხარა.

შიშისგან ხარბი დამეცა,
 უაღუხე დამიდგა ქათიბი,
 კაი რომ ახლოს შექესწრო
 თავშესაფარად სათიბი...


ვინა სთქვა—ბედნიერი ვარ,
 ვინ შემომნატრის ამასა?
 თვალი დაუდგეს ჩემს თავად
 სიცოცხლეს ამისთანასა!..

შ. მღვიმელი.





საწყალი ბიჭიკო.



ილახე ძრეულ ადრე უნდა ადგე, დედაჲ, ძრეულ ადრე!

— ჭო, შვილო, ვისაც სკოლაში წასვლას უნდა—დილით ადრე უნდა ადგეს სოღმე, ტანთ ჩაიცვას, ჰიჩი დაიბანოს, გაკეუთილები გაიმეოროს, გაიმხადოს აბჯა და მოუსვას სკოლისაკენ...

— უჭ, მერე რა კარგი იქნება! რამდენი ბიჭები იქნებიან იქ, რამდენი ამხანაგები, ბურთაობა, ათურმა, ქამრიობა... ან... ბან... გან... დონ... მთაყოლა ჰატარა ბიჭიკომ და თან თითი გააუოლან „დედა-ენას“.

ძართალია, მას ჯერ სკოლის კარები არ ენახა, მაგრამ ის-კი აცოდა, რომ იქ წიგნს ასწავლიდნენ და წიგნის სწავლის სურვილი-კი დიდი ჰქონდა.

— დედა-ჩემო, ჰატარა წიგნს როცა ვისწავლი, მერე სომ დიდ წიგნს მომცემს მასწავლებელი, ჭა?

— ჭო, შვილო, თუ ჰატარას კარგად ისწავლი, მერე დიდ წიგნს დაიწეებ.

— ახლა, იცი, დედა, სკოლაში როგორ ჰკვიანად მოვიცდები? ისე დაუგდო ყური მასწავლებელს, რომ ერთი სიტყვაც არ გამოემხაროს... არა, აბა ამასე კარგი რაღა იქნება. ერ-

თი ნახე—რეები ჭხატია: ია, კურდღელი, თითი, ირემი, და-
 თვი... ეე, ეს რეები ეოფილა, დედიჯან, რა ლამაზი კურდ-
 დელია დახატული... თითქოს ცოცხალი იუოს... როგორ
 გკონია, მე ვერ დაჯხატავ ამისთანებს?

— რატომ, გენაცვალე, ოუ-კი ისწავლი, როგორ ვერ
 დახატავ.

ბიჭიკომ კარანდაში ამოიღო აბგიდან, გადაშალა რვეუ-
 ლი, მაგრამ არ იცოდა, როგორ ესძარა კარანდაში, როგორ
 დაეხატა კურდღელი და სინანულით ისევ აბგაშივე ჩადვა.

— მერე მასწავლებელმა ხომ ცემა არ იცის თავისი შე-
 გირდებისა, ჭა, დედა ჩემო?

— არა, გენაცვალე, იქ ცემა არ იცინა.

— არც გინება?

— როგორ შეიძლება, გინება და მასწავლებელი?!

— არც შუადღემდე ვიჯდები ისე, რომ თითები დამელა-
 ლოს მახათისაგან და დასვიდან კისერს ვეღარ ვიღებდე მა-
 ღლა?

— უი, ქა, ეგ როგორ შეიძლება! სახარაზო დუქანი ხომ
 არ არი! დილით წახვალ, შუადღისას შინ იქნები და იჭიკჭი-
 კებ შენთვის გაკვეთილებს.

— უჭ, შენ-კი გენაცვალე, დედა ჩემო, შენ-კი გენაცვალე!
 მოეხვია ბიჭიკო დედას და გადაკოცნა.

დედა გაჩუქდა, მაგრამ ბიჭიკოს ფიქრი მაინც არ შემდგა-
 რა; ის ისევ სკოლას დასტრიალებდა. ის ახლა იმაზე ფიქ-
 რობდა, როდის გაუთენდებოდა დილა, რომ სანატრელი სკო-
 ლა მალე ენახა... მართალია, დიდხანს ელოდა, მაგრამ, რო-
 გორც იყო, გათენდა...

ჯერ დედა ისევ ლოგინში იწვა, როცა ბიჭიკო ლოგი-
 ნიდან მერცხალივით წამოფრინდა.

— დროა, დედიჯან, დროა! დანიძნა ბიჭიკომ და სსჩქა-
როდ ჩაიყვა ტანისამოსი.

დაიბნა ჰირი, მოიძხადა აბჯა, შიკ ჰატარა ჰურის ნაჭყე-
რიც ჩაიღვა და კიდევ მოესმა ამხანაგების სმა:

— ჭაი, ბიჭიკო, ჭუუ!

— ჭა, ჭა, ჭუუ!.. — გაესმაურა ბიჭიკოც, — მოვდივარ, მოო!

ამხანაგები სკოლაში წასასვლელად ეძხოდნენ, მაგრამ
ვერც-კი მოასწრეს მეორედ გამომხაურება, რომ ბაჭიკო უკვე
გავარდა გარედ და შეუერთდა მათ ჯგუფს.

უველანი ასალი მოწაფენი იყვნენ და გულის ფანცქალით
გასწიეს სასწავლებლისაკენ. თან ერთმანეთს ეკითხებოდნენ — ვის
როგორი წიგნი აქვს, როგორი კარანდაში, აბჯა... ათვალიე-
რებდნენ ერთმანეთის ჩაცმულობას.

მიუხსლოვდნენ სკოლის კარებსაც. შევიდნენ ესოში და
აქ-კი მთელი ჩარფუნა დასხვდათ. ჯერ ადრე იყო და, მასწავ-
ლებლის მოლოდინში, მათსე წინად მოსულ ამხანაგებს თამა-
შობა გაეძარათ. რასაკვ რველია, ესენიც შეუერთდნენ იმათ
ქვილ-ხვილს. ბიჭიკომ ათვალიერ-ჩათვალიერა და გაქანდა
მობურთალებისკენ.

— ჩვენკენ, ჩვენ მხარეს, ბიჭიკო, ჩვენი ამხანაგი იყავ! —
გხვეწებოდა ერთი ჯგუფი.

— არა, ეს ჩვენ მოგვემხრობა, ჩვენკენ, ბიჭიკო, ჩვენკენ! —
იწვევდა მათი მოპირდანი რე ჯგუფი.

მაგრამ ბიჭიკომ კარგად იცოდა საითაც გადასულიყო.

— ერთი, ორი, სამი... ჩამოთვალა ბიჭიკომ ჯგუფ-ჯგუ-
ფად დაყოფილი მობურთალნი. აქეთ ერთი აკლდა, იქით ერ-
თი მეტია. მე მამ იქით ვიქნები და მაშინ სწორედ გამო-
ვალთ, — მიუგო ბიჭიკომ და გადავიდა იმ მხარეს, საითაც
ამხანაგი აკლდათ.

გაჭკრეს ბურთი და გაეჯანა ბიჭიკოც. აბა, ბიჭობა ახლა უნდა გამოეჩინა, აი! არა სკოლაში, ამოტელა ამხანაგებში, და ზირის ძერცხვენა! ეს სომ არ ეკადრებოდა ბიჭიკოს, და ისიც გაშმაკებული ომობდა ლელოს კასატანად. მართალია, რამდენჯერმე ამხანაგების ქვეშაც მოჭევა, რამდენჯერმე ისინიც მოიყოლა ქვეშ, მაგრამ ეს სომ არაფერი იყო, საქმე ის იყო — ვინ გაიტანდა ბურთს და ვინ დაწიებოდა გამარჯვებული. მკერდი-მკერდს მებრძოლი ორი ჯგუფი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ: ხან ერთი მხარე წაიღებდა თაჯისკენ ბურთს, ხან მეორე გამოსტაცებდა და ბურთთან ერთად მიაქანებდნენ მოწინააღმდეგე ამხანაგებსაც. გამარჯვების იმედი ხან ერთი მხრისაკენ გადადიოდა, ხან მეორე მხრისაკენ. მაგრამ, აგერ, როგორც იყო იგდო ხელში ბურთი ბიჭიკომ, მიმინოსავით გაეშვა თაჯის მხრისაკენ, გაჭევენ ამხანაგებიც, დაედვენა მოწინააღმდეგე ჯგუფი; ბიჭიკო ზოგს გვერდზე აუსწლტა, ზოგს თაჯზე გადაახტა: აჭა, უნდა მიახწიოს კიდევ დანიშნულ ადგილს, გაიტანოს ლელო... და უცებ ამ აურ-საურში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა — კაცს ეკონებოდა, აქ არავინ არ არი და არცაჲინ ბურთაობსო.

— სსს... სსს... მოისმა სისინი აქეთ-იქიდან.

— მასწავლებელი, მასწავლებელი... გაისმა ყოველ მხრიდან ჩურჩული.

შედგა ბიჭიკოც. მიიხედ-მოიხედა და მართლა მასწავლებელი იმანაც დაინახა. ის ცოტა არ იყოს შეკრთა, ბურთი ხელიდან გაუშვა, მაგრამ, როდესაც დაინახა დანარჩენი მეგობრები, რომლებიც ქუდის მოხდით და სალაშქროდ მასწავლებელს გარს შემოეხვივნენ, ისიც გაბედულად მიუახლოვდა.

— ააა, ბიჭიკო... ბიჭიკო... შენც მოხველ? აბა, შენ იცი, თუ ანბანსაც ისე გაიტან, როგორც ბურთს; მაშინ უოხადი ბიჭი იქნები!

მიეაღწერს ბიჭიკოს მასწავლებელი და გადაუსვა ხელი თავსე. სასწავლებლის მოსამსახურემ ზარი დარეკა. შევირდები კლასებში დარიგდნენ და, რასაკვირველია, ჩვენმა ბიჭიკომაც იპოვნა თვისი ადგილი.

დღერთო ჩემო, რა მშვენიერი იყო იქაურობა! სუფთა, კოპწია, თეთრი ოთახი. ცალ-მხრივ შევირდების დასაჯდომი სკამები; მათ ზირდაზირ მასწავლებლის მაგიდა; კედლებზე ათასნაირი სურათები. ბიჭიკო ხან ჭერს მიახერდებოდა, ხან კედლებს აავლებდა თვალს და დაკვირვებით სინჯავდა სურათებს. ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელიც შემოვიდა. დღეს ზირველი გაკვეთილი იყო ახალი შევირდებისთვის, და მასწავლებელმა ეველას უსურვა კარგად სწავლა, სინაზული, სიუვარული და ჯანმრთელობა. შემდეგ-კი ცარცით ხელში მიუახლოვდა დაფას:

— აბა, კარგად უეურეთ ჩემ ხელს!—სთქვა მასწავლებელმა და დახატა ცარცით შავ დაფასე რაღაც ნახევრად მრგვალი ასო. შემდეგ გადავა განსე და შეეკითხა:

— ხომ ჰხედავთ?

— ვხედავთ!—მიუგეს ერთ ხმით.

— ეს არი „ააა,“—უთხრა მასწავლებელმა.

„ააა“ გაიხმა აქეთ-იქიდან შევირდების ხმა.

„ააა“ ეველასე ძრიელ დაიძახა ბიჭიკომ და თვალები ცრემლით ავესო სინაზულისაგან, რომ ზირველი ასო უკვე ისწავლა.

— ააა, შენა და ხახრუძალ!—მოესმა ამ დროს ბიჭიკოს და ვიღაცამ კისერში წიხლი უთავაზა.

ბიჭიკო წამოხტა, მოიფუნა იტა თვალები და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის სინაზრში იყო სკოლაში და არა ნამდვილად. მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და დაინახა თავისი


შუბლ-შეკრული ოსტატი სილა-მოღერებული, ჭუჭყიანი სახარაზო, ჯღანები და სახარაზო დასვა.

ცოტა ხანს შემდეგ ის წიგნის მაგიერ მასათით ხელში უჯდა სახარაზო დასვას და ჯღანებს აკერებდა.

სკოლა, ბურთაობა, მასწავლებელი, დაფა მას ისევ თვალებში ელანდებოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ სისმარნი იყო და მხოლოდ დილის მხის სსივი-ღა ეალერსებოდა საწყალ ბიჭიკოს დაღვრემილ სახეს.

ი. ევლოშვილი.





აქლემი.

(იგავი).

მძიმედ დატვირთულ აქლემს დიდი უდაბნო უნდა გადაეარა. რადგან უდაბნოში საჭმელი არ იძოვება, ზატრონმა აქლემს დღეში თითო ჯამი ქატო გამოუხოვა. აქლემს ქატო არ ჰყოფნიდა; იგი მას კუჭს ვერ უძღობდა, შარი გზა და უშველებელი ტვირთი კიდევ ჭირსე ჭირს უმატებდა.

— ოხრო, ტიელო, რა ჩემი გამჩენი გიწერება, — ურისხდებოდა ზატრონი, — ლამის უდაბნოს ვერ გავახწიოთ; ღმერთს შენთვის მძალა იფხვები იმიტომ მოუცია, რომ ნაბიჯი დიდი გააკეთო!

— დიდ ნაბიჯს დიდი ჯამი ქატო უნდაო, — მიუგო დონემისდილმა აქლემმა.

ალ. მირიანაშვილი.





იხვი, მელია და მამალი.

S
 რთხელ მშიერი მელია
 იხვსა წააწედა მცურავსა;
 უთხრა: დობილო, მო ნაწირს;
 არ კკადრებ დასამდურავსა!
 გავიგე ერთი სღაპარი,
 შენც კეჭევი, ბევრსა კაცინებ.
 გიხვენებ ტეეში საკენკსა,
 კვლავ წელისკენ გამოგაცილებ.


—
 იხვმა მიუგო: რად სწუსარ?
 უხვად მაქვს საკვებელიო;
 მე ვეღარ მაცდენ, კარგად გცნობ,
 ხარ ნათესავთა მკვლელიო.

—
 წაუსდა მელას იმედი,
 გაბრუნდა დაღონებული;
 წავიდა, სადაც საკბილო
 სხვა ჭეაჟდა შეგულებული.

მიუხსლოვდა ერთ ღობეს,
 გადაისედა, დასვერა;
 იქ შეამჩნია მამალი
 და ასე ტკბილად დამღერა:
 „მამალო, კარგო მამალო,
 შე ოქროს ბიბილოვანო!
 ერთ გამღცანას მოგითხოვ,
 იქნებ ამისსა, ჭკვიანო!
 ვუვლა შენ გაქებს, გადიდებს,
 გამჭრის გონებიანო!
 მო, გადმოფრინდი ღობესე,
 ფერად ლამაზო ფრთიანო!“

ესამოვნა მამალსა,
 ბრჭყალებზე შესდგა, იხარა;
 შემდეგ ნაგავი გაჭექქა,
 მუბლს სევდა გადაიყარა.
 მამლაყინწებსა მოუსძო:
 მოდით აქ ჩემთან ვუვლაო;
 თქვენ რომ ჰატევისა აღარ მცემთ, —
 ჭხედავთ, ვით მაქებს ძელაო.
 უჩემოდ სხვაჯეკი ვერა სძლებს,
 ცხოვრება გამხელებულა;
 თქვენ ზურგსა მაქცევთ, დამცინით,
 თან ამბობთ, დაბერებულა.
 სთქვა და ძელასთან გაფრინდა,
 შინ აღარ დაბრუნებულა.


ა. შანშიაშვილი.





ნისლი.

(ზღაპარი ევალდისა).



ს იყო მსე ჩავიდა, ბაუემაც შორთო თავისი ჩვეულებრივი სიმღერა-ეიენი და იმდენი იეიენა, გეკონებოდათ, დასასრული აღარ ექნებოა. ფუტკრებიც თავიანთ სკებში მიიძალნენ. ბავშვები ტიროდნენ, რადგანაც დასაძინებლად უნდა წასულიყვნენ. ევაჟილებს თავი დაეხარათ, ფრინველებს კიდე ნისკარტები ამოედოთ ფრთის ქვეშ და ირემსაც მშვენიერ ტეის ნორჩ ბალახში მოესვენა.

სოფლის ეკლესიაში საღამოს ლოცვის სარი უკვე დარიკვა და მოხუცმა მნათემაც სასლისკენ გასწია. მნათე გსა-და-გსა ეველას საღამს აძლევდა. აქა-იქა კარებებში გლესები ჩამსხდარიყვნენ დასასვენებლად და ჩიბუსს ეწეოდნენ, მაგრამ ძაღე ამათაც უსურვეს ერთმანეთს მშვიდობის დამე და დაიძალნენ. ცოტახანს უკან სოფელში სრული სიჩუმე ჩამოვარდა; და დამეც შუემჩნეულად დაეშვა დედამიწასე.

ვარსკვლავები ცახე ოდნავ ბუტუბდნენ და მთვარეც ნელა ძაღლა-ძაღლა იწედა. დაძინებულ სოფელში ერთად-ერთი ძაღლი ჭეეფდა, მაგრამ ესეც აღბად სისძარში ჭეეფდა, რადგან არავითარი სააძისო მიხესი არ სჩანდა.

— არის ვინმე? — იკითხა ნისლმა. მაგრამ არავინ არ უპასუხა, რადგან ყველას ეძინა. მაშინ გამოცხადდა ნისლი თავისი ნათელი, მჭვირვალე სამოსელით; დადიოდა და ტრიალებდა მინდვრებსა და ენებში. შემდეგ ერთ წუთს შეჩერდა და ისევ დაიწყო ცეკვა-ტრიალი. მერე გადასტა ტეეში და თავისი გრძელი, ნესტიანი ხელებით ხეებს შემოეხვია.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა მას ღამის იამ, რომელიც მარტოდ-მარტო ისრდებოდა ტეეში და არავის არ ახარებდა თავისი სიმშვენით და სუნელებით. ნისლმა არა უპასუხარა და განაგრძო თავისი ცეკვა.

— რატომ ხასუხს არ იძლევი, როცა გეკითხებიან? უსდელი ეოფილხარ.

— ახლავე მოვალ შენთან, — წაიხურჩულა ნისლმა და ისე მაგრამ მოეხვია მშვენით ღამის იამს, რომ ფოთლები სულ ძოლად დაუსველა.

— უი, უი, უი! — ჰუვიროდა ია, — იქით წაიღე შენი სველი თათები. ასე მგონია — ჭაობში ამოძაღვესო. ნუ თუ გწეინს, როდესაც ვინაობას გეკითხებიან?

ნისლმა ოდნავ დაიწია და ასე დაიწყო:

— მე ვინა ვარ... სულ ერთია — შენ ვერ მიხვდები.

— არა, სინჯე - სთქვი.

— ევაუილსე ვარ ცვარი, ცახე — ღრუბელი, ახლა-კი, მინდორში, ნისლი ვარ. აჭა, გაიკე?

— რო, რო! — შეჰვიროა ღამის იამ, — ერთი კიდევ გაიძეო.

ცვარს ძალიან კარგად ვიცნობ: დილაობით ეოველთვის ჩემ ფოთლებსე კამკამებს, მაგრამ, ჩემის აზრით, თქვენ ძორის არავითარი მსგავსება არ არის.

— მე მანც ცვარის წვეთი ვარ, — ნადვლიანად წაიხურჩულა ნისლმა, მაგრამ არავინ მცნობს: სხვა-და-სხვა სახეს

ვითვისებ სოლმე;—ხან ცვარი ვარ, ხან წვიმა, ხან-და-ხან კიდევ ტეეში მიჯიხსხუსებ სუფთა, მჭვირვალე ნაკადულად; სა-ღამოთი-კი, როცა მინდვრებზე დავეშვები, ვცეკვაუ და ვტრია-ლებ; მაშინ ჩემსე ამბობენ: „აი ნისლი გახნდაო!“

— საკვირველია, — სთქვა მშვენიერმა ღამის იამ:— ამის შე-სახებ უფრო დავწრილებით მიაძბე, ღამე დიდია, და შე კიდევ აქ მარტო მოწყენილი ვარ.



— ეს გრძელი ამბავია, — უთხრა ნისლმა, — მაგრამ მაინც ვეცდები გაიძ-ბოთ. და ის იყო ღამის იასთან ჩამო-ჯდომა, დაახირა, რომ იამ საშინლად დაიქნია ფოთლები:

— არა, არა, თუ დმეოთი გწამს, ცოტათი შორს დაჯექი, — შესძახა მან— მანამ შენ ამბავს დაასრულებდე: მაინც არ მიეუარს იმათთან დასალოკება, ვი-საც არ ვიცნობ.

ნისლმა დაუჯერა, დაწვა ცოტა მო-შორებით და ასე დაიწყო:

— შე დავიბადე დედამიწის სიღრმეში, უფრო დიდ სიღრ-მეში, ვიდრე შენი ფესვები იზრდებიან. იქ გაჯინდით შე და ჩემი ძმები;—უნდა გითხრა: ჩვენი ოჯახი დიდია. ამ ქვე-ყანაზე ძალიან ბევრი ვართ, სუფთა, მჭვირვალე წყლის წვე-თები. დიდხან ვიყავით ჩვენ ბნელ სამეფოში. ერთ მშვენიერ დღეს დავიძარით და ამოვსტით გორაკის ფერდობიდან. გა-მოვხინდით, და ბრწყინვალე მსემაც თვალები შემოგვაჭყეიტა. არ დაიჯერებ, რა სიამოვნება იყო ჩვენთვის ტეეში სიბზილი! როგორც გიყები, ისე გავზობოდით ქვებზე და წყლის ნაპირებს ვეშხეფებოდით. მშვენიერი ჰატარა თევზები დასრიალობდენ ჩვენ შორის. სოლო ხეები ჩვენკენ ისრებოდენ და მეტად

სიამოვნებდნენ, როცა თავის ჩრდილს სედავდნენ. აქა-იქა ფოთლები ცვიოდნო. ჩვენ ალერსით მივაქანებდით შორს — შორს. ოჲ მშენიერება რამ იყო! ეს იყო ეველასე ბედნიერი დრო ჩემ სიცოცხლეში.

— კარგი. მაგრამ როგორ იქეც ნისლად? შენი ნამბობიდან არც კაიკება რა, — მოუთმენლად გაწვეუტინა ევაზილმა: — ნაკადი ვიცი რაც არის, — როცა სიჩუქა — აქ ისმის იმისი ჩხრიალი.

ნისლმა ოდნავ წამოიწია და ჰატარახანს იცეკვა. მერე დაბრუნდა და ისევ დაიწყო: — ამ ქვეყანაში ცუდი ის არის, რომ არაფერ არ კმაყოფილდება იმით, რაც აქვს. ასეა. ბოლოს და ბოლოს ჩავცვივდით დიდ ტბაში. — ტბასე ნასად ირსეოდნენ თეთრი სამბასები და მხიარულად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები. ტბა შემოდან სარკესავით იყო, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ტბის ძირში უნდა ჩავსულიყავით, და იქ კი საშინლად ბნელდა. ამისთანა ცსოვრების ატანა შეუძლებელი იყო. ვნატრობდი მისი სსივებს. ოჲ, სსივები მას შემდეგ მახსოვან, როცა ნაკადულში დავჩხრიალებდი. ტურფა მსევ! რა საამუროდ გვიალერსებდა და თან გვათობდა. აი აქ, ტბის ძირში, გადავსწვეტე ერთხელ კიდევ შენასა მისი სსივები! ამოვცოცდი ტბის სედა ზირსე და წამოვწექი სამბასის გვრდით. მსეს მივეფიცხე. სოლო მსე შეუბრალებლად მაცხუნებდა; მწარედ ვსტიროდი და ვნანობდი, რომ ტბის ძირში არ დავჩხი.


— ეს ეველასური ჩემთვის საჭირო არ არის, — შენიშნა ღამის იამ: — ნისლი როდისღა გამოჩნდება?

— აი, აქ გახლავარ, — სთქვა ნისლმა და ხელ-ასლას ისე მაგრად შემოეხვია ევაზილს, რომ კინაღამ გული არ შეუწუხდა.

— ვაი, ვაი, ვაი! — უვიროდა ია: ჩემ ნაცნობებში ეველასე უფრო ბრახანნი ეოფილხარ. თუ ღმერთი გწამს, ცოტა უკან დაიწიე და მიაბე, რა მოხდა შემდეგ.

—საღამოზე, როცა შვე ჩავიდა, — განაგრძო ნისლმა, — დიდი შვება ვიგრძენი. არ ვიცი კი, როგორ მოხდა, მაგრამ უეცრად ავღექი ტბიდან და გავეწიე, მოვმოხრდი სამბასს და ჭიაფერს. საღამოს გრილმა ქარმა გამიტაცა: აფურინდი მძლავრ ჭყარში და იქ შევხვდი მრავალ ჩემ ძმებს, რომლებიც ჩემსავით ცნობის მოყვარენი იყვნენ და ჩემსავით ამოვიდნენ ტბის სიღრმიდან. ავედით ცაში და გადვიქცეთ ღრუბლად; — ანლა კესმის?

— როგორღაც არა მჯერა, — სთქვა უვაილმა.



— მართლაც კეუბები, — განაგრძო ნისლმა, — მაგრამ მომისმინე, რა მოხდა შემდეგ: ქარს მიექონდით სულ მძლავრ-მძლავრ, ჭყარში. ბოლოს აღბად იმასაც მოსწეინდა, გაგვიშვა და ზატარა ხანს უკან ხშირ წვიმად ჩამოვცვივდით. უვაილები იმალებოდნენ თავიანთ ფოთლებში; ფრინველებიც მიეშურებოდნენ დასამალავად. მარტო ბატებსა და იხუებს არ შეეშინდათ: ისინი სომ ეოველთუის მსიარულობენ, როცა სველდებიან. გლეხიც იღვა და ჭხარობდა: იმის ზურს სჭიროდა წვიმა და თვითონ რომ თავით ფეხამდის დასველდა, იმას არ სწუსდა. ამნაირად ჩვენ სამინელი აურსაური ავტყესეთ.

— მაშ შენ წვიმაც ხარ? — გაოცდა ღამის ია: — სხანს დიდ ჯაფაში ეოვილხარ!

— მართლაც, ერთი წუთი მოხვენება არა მაქვს, — სთქვა ნისლმა.

— მაგრამ მაინც ვერ გამიგია, როგორ გადაიქცეი ნის-



ლად? — ჭკითხა ევაჟილმა: არ გაბრახდეკი, თუ ღმერთი გწამს. შენ თვითონ დამხირდი — გეტყვიო, და მეც მეტი სიამოვნებით მოვისმენ ისევ თავიდან შენ აბზავს, ვიდრე შენ უმსგავს ნესტიან ხელებს მივუკარები.

ნისლს ძალიან ეწეინა და ჩუმიად წაიქვითინა, მაგრამ მაინც განაგრძო: — როდესაც წვიმად ჩამოვარდი, შავ მიწაში ჩავიფალი და მინაროდა, რომ სამშობლოში, ქვესკნელის წვაროში დავბრუნდებოდი. — იქ დამშვიდებული მანც ვიყავი და არაფერსე არ ვწუხდი. მაგრამ, რომ არ დამცაღდა. რომელიღაც ხის ფესვებმა შემსრუტეს და მეც იძულებული ვიყავი მთელი დღე იმის ტოტებისა და ფოთლებში მეზბინა. მე იმათთვის დიდი საჭირო ვიყავი. მთელი ის სახრდო, რაც ფოთლებს სჭირდებოდათ, მე უნდა მეხიდა იმათთვის ფესვებიდან; და ასე — მთელი დღის განმავლობაში: მხოლოდ სალამოხე გაუნთავისუფლდი. მზე ჩავიდა, ეველა ევაჟილმა და ხემ თავისუფლად ამოისუნთქა და იმათმა ამოისუნთქვამ ამოგვაფრინა ჩვენც, — მე და ჩემი ძმები, როგორც მჭვირვალე ნისლი. ჩვენც ახლა ღამე დავდივართ მინდვრებში. ხვალ-კი, როდესაც მზე ამოვა, სუფთა ცვარად დავსხდებით და დაიწეებთ ბრჭყვინვას შენ ღამას ფოთლებსე. შემდეგ ან მზე წავგვიყვანს, ან შენ გადაგებრტევა და ჩვენ ჩავუძვებით ღრმა მიწაში და ვივლით, მანამ ჩვენ საკუთ რ ნაკადს არ ვიპოვნით. მაგრამ, კსაში შეიძლება რომელიმე ხის ფესვებმა დაგვაკავოს, და დაიწეება ისევ სეტიალი: ნაკადულიდან ტბაში, ტბიდან ჭაერში, ჭაერიდან ისევ მიწაში...

— გაჩერდი, — დაიუვირო ღამის იამ; — თავსბრე მესხმის შენი ნამშობლისკან.

ამ ღროს გაიღვიძა ბაჟაჟმა, — გაშალა თათები: და რუმი საბანაოდ ჩასეუბდა. აჭიკჭიკდნენ ტუეში ფრინველები და ირემ-მაც განიხვარდა ველსე. გათენდა დილა! მზემ გორაკიდან თავი ამოჭყო.

— ეს რა არის! წამოიძახა მსემ თვალების ფშვენტით,—
 ეს რა ამბავია, თვალ-წინ ვერა გაძირჩევიან-რა. დილის ქარო,
 ადექი და გადაუარე ეს საძაგელი ნოტიო ნისლი.

ქარი მირბოდა მინდვრად და მიაქანებდა ნისლს.—მხემაც
 შიკ თვალებში მიანათა ღამის იას.


— ოჰ! რა მენანება...— ამოიოხრა ევაგილმა.— დროა და-
 ვიძალო! მაგრამ ნისლი სადღაა!

— აქა ვარ,— სთქვა ცვარმა, რომელიც იმის ფოთლებზე
 ბრჭყუნავდა. ია გაცყებული შეკრთა; მხე კი სულ იცინოდა
 და იცინოდა...

ეს სიცილი-კი ცვარს ადნობდა და აქრობდა.

თარგმ. მარია იაშვილისა.





ბავშვი და კალლი



როცა კაცს ამერიკაში დაეკარგა ოთხი წლის ვაჟი. ბავშვი სეირნობდა ტყეში და უცებ სადღაც გაჰქრა. შეძინებულმა მამამ შემოიღობინა ყველა ახლო-მანლო ტყეები, ვეიროდა, უძახოდა თავის ვაჟს და ეკითხებოდა ყველას; მაგრამ ყოველივე უნაყოფო იყო.


შეორე დღეს მასთან მივიდა ინდოელი მონაწილე, გამოცდილი მონადირე. მას ჰქვანდა მშვენიერი ძაღლი, რომელიც, ჰატრონსავით, ნადირობაში და ნადირის ძებნაში იყო აღსრდილი. ინდოელმა გაიგო მომხდარი უბედურება და უთხრა დაკარგული ბავშვის მამას:

— მომეცით წინდები და ფეხსაცმელები თქვენი დაკარგული ბავშვისა. შეიძლება ვიპოვო. შემდეგ მან აეხოსვია თავის ძაღლს ბავშვის ფეხსაცმელი. ჰკვიანი ცხოველი მაშინვე მიხვდა, რაც სურდა მის ჰატრონს, გამოუარდა გარედ და ხარბად

დაუწყო ენოსვა მიწას: ცდილობდა კვალისთვის. მიეწონ. წა-
აწუდა კიდევ ბავშვის კვალს. ჩამოუძვრა რა თავი, არ აცდილებ-
და მიწას დინკის ბოლოს.

ძაღლი გაიქცა ტყეში და ჩქარა ნაბიჯით გაჭედა ინ-
დოელიც. ტყეში მან დაჭკარა ძაღლი, რომელიც დიდხანს არ
დაბრუნებულა. ბოლოს მოისმა მისი მსიარული ყეფა. ძაღლმა
შირბინა ზატრონთან და გაჩერდა მის ასლოს. თვალები ან-
თებული ჰქონდა, მძიმედ სუნთქავდა დაღლილობის გამო და
უძახოდა ზატრონს, რომ გაჭეოლოდა. დიდხანს მისდევდა
ინდოელი, და აი, სძირ ტყეში, ძაღლი გაჩერდა. აქ ეგდო
საწუელი დაკარგული ბაჭი, ცოცხალ-მკვდარი, შიმშილისა, და-
ღლილობისა და შიშისაგან.

თარგ. ი. ზედოზნელისა.





ლოგოგრიფი.

(წარმოდგენილი ვას. ფერაძის-მიერ)

მე ნადირი გახლავარ; მოძაგვლით ერთი ასო და გამოვა
საღისის ქლეტა; მოძაგვლით ერთი ასოცა და გამოვა ნოტა.
თუ ბოლო ასოს ერთ ხმოვან ასოს მოუწერთ, გამოვა სურნე-
ლოვანი ვეზვილი.



გამოცანები.

1. სახლი ხმაურობს, ჰატრონები ჩუმად არიან. შევიდნენ ქურდები, სახლი ფანჯარაში გაძვრა.
2. ერთ ბოძზე ერთი ოდა დგას.



მე-20 № 31 მოთავსებულ ამოცანა ცხრილით და რეზუსის აღსნა:

- 1.—რიონი. 2.—გელათი—უძველესი მონასტერი.

1913 Чудный подарокъ дѣтямъ! 1913



Открыта подписка на 1913 г. на первый въ Россіи
РОСКОШНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ
 ИЗБРАННЫХЪ ПРОИЗВЕДЕНІЙ ДѢТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
ЖАВОРОНОКЪ

съ картинами въ краскахъ и прилож. дѣтскихъ книгъ.

Программа журнала; Дѣтскіе рассказы, сказки, стихотворенія. Историческіе очерки, Фельетоны для дѣтей. Рисованіе, музыка, пѣніе, дѣтскій театр. Лѣпка изъ глины. Дѣтскія работы. Научныя статьи. Игры и забавы. Спортъ. Физика и химія въ играхъ. Собираніе растений, бабочекъ, грибовъ, монетъ и проч. Рыбная ловля. Астрономія. Ботаника для дѣтей. Задачи, шарады, загадки. Странички для родителей и воспитателей.

«о УЧАСТВУЮТЪ ВЫДАЮЩІЯСЯ ЛИТЕРАТУРНЫЯ И ХУДОЖЕСТВЕННЫЯ СИЛЫ. «

Не ограничивая свою дѣятельность только стремленіемъ къ развитію въ дѣтяхъ художественнаго вкуса и пониманія изящнаго, редація въ своемъ направленіи будутъ свято охранять завѣты, издававшася съ 1858 года, при участіи Тургенева, Гончарова, Майкова и Григоровича, дѣтскаго журнала «Подснежникъ», имѣвшаго на дѣтей огромное воспитательное вліяніе.

ЖУРНАЛЪ ПЕЧАТАЕТСЯ НА ДОРОГОЙ ГЛАЗИРОВАННОЙ БУМАГѢ *
 Подписавшіеся на 1913 годъ получаютъ (ежемесячно 1-го числа):

12 РОСКОШНЫХЪ - иллюстрированныхъ выпусковъ Худож. - Литературн. и Научн. журн. ДЛЯ ДѢТЕЙ въ великолѣпн. облож., исп. цвѣтн. краск.

12 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ КАРТИНЪ ИСПОЛНЕННЫХЪ КРАСКАМИ.

12 ИЗЯЩНЫХЪ ТОМИКОВЪ ИЗБРАННЫХЪ ПРОИЗВЕДЕНІЯ для дѣтей знаменитыхъ русскихъ писателей, съ портретами и очеркомъ ихъ дѣтства. Будутъ выданы СОЧИНЕНІЯ АКСАКОВА. ЖУКОВСКАГО. КОЛЬЦОВА. ЛЕРМОНТОВА. НИКИТИНА. ТОЛСТОГО. ГОГОЛЯ. КАРАМЗИНА. КРЫЛОВА. ЛОМОНОСОВА. ПУШКИНА. ШЕВЧЕНКО.

4 КН. „ВЕСЕЛАЯ БИБЛИОТЕЧКА“; съ смѣшными картинками.
 1. Барабанъ. 2. Хлопушка. 3. Васька-Ветанька 4. Ку-ка-ре-ку.

6 КН. „БИБЛИОТЕЧКА-ИГРУШКА“.
 Дѣтскія игры и развлечения;
 1. Дѣтскій театръ. 4. Игры и забавы
 2. Веселыя задачи. 5. Живчикъ.
 3. Игруш.-самодѣл. Маленьк. фокусникъ 6. Дѣтскій сперт

8 КНИЖЕКЪ СЪ 1. О. звѣздоч. 3. Мал. звѣринецъ. 6. Царство грибовъ.
 КАРТИНАМИ 2. Сред. цвѣт. 4. Мой акваріумъ. 7. Колекція монетъ.
 для нагляднаго 3. Маленьк. астрон. 4. Книж. бабочекъ 8. Книжк. рисованія.
 обученія: 2. Маленьк. боткина

Годовые подписчики получаютъ съ первымъ № журнала РОСКОШНУЮ СТѢННУЮ КАРТИНУ ВЪ КРАСКАХЪ, НА ПАСПОРТУ. Знаменит. русск. худож. В. МАЙКОВСКАГО. ДѢТСКАЯ ГОЛОВКА Работ. пост. Двор. Е.И. Велич. Голил. и Вильборг. Стоимость картины въ художественныхъ магазинахъ 6 руб.

Журналъ издается редакціей журнала „Пробужденіе“.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА: На годъ съ дост. и перес. 4 р., на полг. 2 р. на 3 мѣс. 1 р. За гран. 7 р. Редація жур. „ЖАВОРОНОКЪ“, СПБ. Невскій 114. Редакторъ-Издатель И. В. Корещій.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საემსწილო კურსად

„ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მარხვი ◆

ქურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

◆ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-
არაკი ალ. მირიანაშვილისა. ◆

ფასი ქურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მ.** ნა-
ხევარ წლით—**3 მან.**, ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ქურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ.
1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო
მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქცია-
ში, ზუბაძისუბის სას., გოლაგინ. პრ. № 8. Редакция „На-
кадули“, Головинский пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის წიგნის მ. დაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდაძე გვიცა-
რიძესთან, თ. შთაკრიშვილთან და მარამ ყუხჩაშვილთან. სამტრედია-
ში—ივანე გლადკოვთან. ფოთში—თეოდოძე კანდელაკთან. ბათუმ-
ში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმი ინსარაძესთან. დ. ხონ-
ში—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. ოზურგეთში და ლან-
ჩხეთში—ლევ. იმნაძესთან. თელავში—ვასილ შატაშვილთან. ახალ-
ციხეში—კახსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—ვასილ ასულაძის-
თან და ივანე ელიაშვილთან. გორში—ნინო დომაურთან და ქეთევან
ჯავახიშვილთან. სოხუმში—კნ. მარამ ანჩაძესთან. კიათურა-
ში—ივანე კომედაურთან. განჯაში—ბ. ამბოქაძესთან. ერევან-
ში—კ. ოდიშარაძესთან. სიღნაღში—ნ. ა. შატაშვილთან.

რედაქციის ნინო ნაკაშიძე.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

